

მუსიკა

სახელმძღვანელო



Uzeyir
Hacıbəyli



6



Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

*Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,
sözləri Əhməd Cavadındır.*

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hər bə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştəqdir!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!



კვილარ ალიევი

აზერბაიჯანული ხალხის სამართო ეროვნული ლიდერი

ოქტაი რაჯაბოვი, ნაზიმ ქაზიმოვი,
ეგანა ახუნდოვა,ოფელია იმანოვა

მუსიკა 6

სახელმძღვანელო
საერთო - საგანმანათლებლო სკოლების
მე-6 კლასისათვის

ამ გამოცემასთან დაკავშირებული გამოხმაურებები,
შენიშვნები და წინადადებები გთხოვთ გამოაგზავნოთ შემდეგ
ელექტრონულ მისამართზე: tahsil_az@yahoo.com და derslik@edu.gov.az
წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის!



ბაქო – 2017

შინაარსი

მუსიკის ზემოქმედების ძალა

1. კონტრასტულობა მუსიკაში.....	6
2. ემოციურობა მუსიკაში.....	8
3. ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო მუსიკაში.....	10
4. ეროვნული თავისებურებანი კომპოზიტორთა შემოქმედებაში.....	12
5. ომის თემა მუსიკაში.....	14
6. პოლიფონია მუსიკაში.....	16
7. ჰომოფონია მუსიკაში.....	18
განვლილი თემების განმეორება და I მცირე შემაჯამებელი შეფასება.....	20

მუსიკის ზემოქმედების ძალა (გაგრძელება)

8. ბრძოლის თემა მუსიკაში.....	22
9. დაძაბულობა მუსიკაში.....	24
10. ეროვნული გმირის სახე მუსიკაში.....	26
11. კლასიკური აზერბაიჯანული მულამი „სეგიახი“.....	28
12. აზერბაიჯანელთა მიმართ მსოფლიოს სოლიდარობის დღე და მუსიკა.....	30
განვლილი თემების განმეორება და დიდი შემაჯამებელი შეფასება.....	32

რაში გამოიხატება მუსიკის ზემოქმედების ძალა?

13. მუსიკის ობიექტური რეალობა.....	34
14. იუმორესკა მუსიკაში.....	36
15. 20 იანვარი და მუსიკა.....	38
16. სადამოს განწყობილება მუსიკაში.....	40
17. ბუნების ასახვა მუსიკაში.....	42
18. რეალური და არარეალური სახეები მუსიკაში.....	44
19. ქალის სახეები სხვადასხვა წლების სიმღერებში.....	46
20. ნოვრუზის დღესასწაული და მუსიკა.....	48
განვლილი თემების განმეორება და მცირე შემაჯამებელი შეფასება.....	50

რაშია მუსიკის ზემოქმედების ძალა? (გაგრძელება)

21. მულამი „შუშტერი“.....	52
22. აზერბაიჯანული მულამი და გუნდი.....	54
23. აზერბაიჯანული მულამები და სიმფონიური ორკესტრი.....	56
24. მულამები და ეროვნული ოპერა.....	59
25. აზერბაიჯანული ხალხური ცეკვები და ბალეტი.....	62
26. აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა და ოპერეტა.....	64
27. 28 მაისი – რესპუბლიკის დღე და მუსიკა.....	67
განვლილი თემების განმეორება.....	69
მომზადება საკლასო კონცერტისათვის და დიდი შემაჯამებელი შეფასება.....	70
სასიმღერო რეპერტუარი.....	71
მუსიკალური ლექსიკონი.....	90
გამოყენებული ლიტერატურა.....	93

მუსიკის ზემოქმედების
ძალა



1. კონტრასტულობა მუსიკაში

მოფუსმინოთ მუსიკას



ფიქრათ ამიროვი



ფრაგმენტი ოპერიდან „სევილი“

„სევილის არია“ ფიქრათ ამიროვის ოპერიდან „სევილი“

სევილის როლის საუკეთესო შემსრულებელი იყო საბჭოთა კავშირისა და აზერბაიჯანის სახალხო არტისტი ფირანგიზ ახმედოვა.



ყარა ყარაევი



ფრაგმენტი ბალეტიდან „შვიდი მზეთუნახავი“

ვალსი ყარა ყარაევის ბალეტიდან „შვიდი მზეთუნახავი“

ვალსის ტაქტის ზომა ძირითადად 3/4-ია.

მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები ორი მუსიკალური ნაწარმოებისა:


„სევილის არია“ ოპერიდან „სევილი“

1. ტაქტის ზომა 3/4
2. განეკუთვნება მუსიკალურ სცენურ ნაწარმოებებს

„ვალსი“ ბალეტიდან „შვიდი მზეთუნახავი“

განსხვავება


განსხვავება



კონტრასტულობა შესაძლებელია მუსიკალურ ტემპებს შორისაც. მაგალითად, მუსიკალურ ნაწარმოებებში არსებობს ჩქარი და ნელი ტემპები. ჩქარი და ნელი ტემპების სქემა შეიძლება წარმოვიდგინოთ ასეთი სახით:



კონტრასტულობა ასევე არსებობს დინამიურ ნიუანსებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ მუსიკალური გამომსახველობის საშუალებებს. მაგალითად, ძლიერი ჟღერადობის ნიშანს **forte (f)** და სუსტი ჟღერადობის ნიშანს **piano (p)** შორის არსებობს



გავიხსენოთ და შევასრულოთ სიმღერა

შევასრულოთ სიმღერის ფრაზები დინამიური ნიუანსებით, ნოტების მიხედვით და სიტყვებით.

თანამგზავრი (BIP-BIPIN NƏŒMƏSİ)

მუსიკა ფიქრათ ამიროვისა
სიტყვები თემურ ელჩინისა

Allegretto

Uç-du göy lə - rə bi - zim pey - ki - miz, Söy - lə - di ye - rə:
yolge - di - rik biz. Bip - bip bip - bip, Göy - lər min rəng - dir
Bur - da ul - duz - lar Gör nə qə - şəng - dir Bip - bip, bip - bip.
Göy - lər min rəng - dir. Bur - da ul - duz - lar
Gör nə qə - şəng - dir! Bip - bip, bip - bip - bip!

კითხვები:

1. რომელი აზერბაიჯანული ხალხური სიმღერის ინტონაცია არის გამოყენებული „სველის არიაში“ ოპერიდან „სველი“?
2. რომელი ბალეტისათვის დაწერა თქვენს მიერ მოსმენილი „ვალსი“ ყარაევმა?
3. როგორ გესმის გამოთქმა „კონტრასტულობა მუსიკაში“?

დავალება: მოამზადე მოკლე ზეპირი პრეზენტაცია თემაზე „კონტრასტულობა ბუნებაში“.

2. ემოციურობა მუსიკაში



პეტრე ილიას
ძე ჩაიკოვსკი

სხვადასხვა ხასიათის მუსიკალური ნაწარმოებები ადამიანში სხვადასხვა ემოციურ მდგომარეობას, განწყობას იწვევენ. თუ მუსიკალური ნაწარმოები ხალისიანი, საცეკვაო ხასიათისაა, მაშინ ადამიანში მისი მოსმენისას აღიძვრება ხალისიანი განწყობა; სევდიანი, ნაღვლიანი მუსიკის მოსმენისას კი – ნაღვლიანი განწყობილება, ხოლო თუ მუსიკა საბრძოლო სულისკვეთებისაა, ასევე საბრძოლო სულისკვეთება აღიძვრება მსმენელშიც. ესე იგი, ადამიანი ისეთივე ემოციურ განწყობილებაში იმყოფება, რომელიც შეესაბამება მის მიერ მოსმენილ მუსიკას. მუსიკა აღძრავს ადამიანში სიცოცხლის, შემოქმედების, სიყვარულის გრძნობასა და სურვილს. ზოგჯერ ადამიანი, სანამ რაიმე სამუშაოს შესრულებას შეუდგებოდეს, ისმენს თავის საყვარელ მუსიკას.



სერგეი იუდინი

მაგალითად, მე-20 საუკუნის ცნობილი რუსი ქირურგი სერგეი იუდინი სანამ ყველაზე ძნელი ოპერაციის გაკეთებას შეუდგებოდა, უსმენდა გენიალური რუსი კომპოზიტორის პ. ი. ჩაიკოვსკის მე-6 სიმფონიის პირველი ნაწილის თანმხლებ თემას. ცნობილი აზერბაიჯანელი ქირურგი, პროფესორი მუსტაფა ტოპჩიბაშევიც ქირურგიული ოპერაციის წინ უსმენდა ნაწყვეტს ფ. ამიროვის სიმფონიური მულამებიდან „მური“, „კურდოვშარი“ და აზერბაიჯანულ რიტმულ მულამს „ხეირათი“. მისი ერთ-ერთი საყვარელი ნაწარმოები იყო უზეირ ჰაჯიბეილის ოპერა „ქოროლი“.

მოვუსმინოთ მუსიკას

პ. ი. ჩაიკოვსკის მე-6 სიმფონიის 1 ნაწილის თანმხლები თემა



მუსტაფა
ტოპჩიბაშევი

პ. ი. ჩაიკოვსკის მე-6 სიმფონიის 1 ნაწილის თანმხლები თემა – ეს არის ლირიული, ნაღვლიანი ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც ადამიანს დაფიქრებას აიძულებს. ტაქტის ზომია 4/4, ე. ი. ოთხი მეოთხედი ნოტი.

ვიმღეროთ ნოტების მიხედვით

ნაწყვეტი რიტმული მულამიდან „ხეირათი“

მარშის ტემპში



ეს უნდა იცოდეთ

რიტმული მულამი „ხეირათი“ ერთნაწილიანი ნაწარმოებია საზეიმო, საბრძოლო ხასიათისა. ეს რიტმული მულამი ადამიანში იწვევს საბრძოლო საბრძოლო განწყობილებას.

მუსიკის მარშის ხასიათის წყალობით მას, ჩვეულებრივ, ასრულებენ სადღესასწაულო დღეებში, სამხედრო დათვალიერებისას.

ამ რიტმული მულამის ტაქტის ზომაა 2/4, იგი ჟღერს „რასტის“ კილოს საფუძველზე.

შევისწავლოთ ახალი სიმღერა

დამოუკიდებლობის დღესასწაული (İSTİQLAL BAYRAMI)

მუსიკა რაშიდ შაფაგისა
სიტყვები ვალეხ მირზასი

მარშის ტემპში

Çi - çək - lən - di e - li - miz, nur sə - pil - di üz - lə -
rə. Ta - le - nin bu tƏh - fə - si qis - mət ol - du biz - lə -
Prunee: f
-rə!.. Düz niy - yət - li - sən, bu dün - ya - da
sən, ey mə - nim a - na Və - tə - nim!

II

Bizi sevməyənləri
Yandırdıq odumuzla.
Adınla bir səslənən
Müqəddəs adımızla.

მისამღერი:

Düz niyyətli sən,
Bu dünyada sən,
Ey mənim ana
Vətənim!

III

Böyük tarixi olan
Bir millətin oğluyuq!
İstıqlalı yaradan
Xalqın mətin oğluyuq!

სიმღერა „დამოუკიდებლობის დღესასწაული“ («İstıqlal bayramı») ჟღერს მულამ „რასტის“ საფუძველზე, ტაქტის ზომა 2/4, მარშის ტემპში. თავისი ხასიათით იგი ახლოსაა რიტმულ მულამთან „ხეირათი“.

კითხვები:

1. რა ხასიათისაა პ. ი. ჩაიკოვსკის მე-6 სიმფონიის 1 ნაწილის თანმხლები თემა?
2. როგორი მულამია „ხეირათი“?
3. ვინ არიან ავტორები სიმღერისა „დამოუკიდებლობის დღესასწაული“ («İstıqlal bayramı»)?

დავალება: მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია თემაზე „დამოუკიდებლობის დღესასწაული“.

3. ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო მუსიკაში



ფრედერიკ შოპენი

პოლონელი კომპოზიტორი ფრედერიკ შოპენი დაიბადა 1810 წელს ჟელიაზოვა ვოლიას პროვინციაში ვარშავის მახლობლად ფრანგულისა და გერმანულის მასწავლებლის ნიკოლ შოპენის ოჯახში. 1826 წელს შევიდა ვარშავის მუსიკის უმაღლეს სკოლაში და წარმატებით დაამთავრა იგი. კომპოზიტორმა სხვადასხვა ჟანრის საფორტეპიანო ნაწარმოებები შექმნა: ეტიუდები, მაზურკები, პოლონეზები, ვალსები, კონცერტები, პრელუდიები, სონატები და ა. შ. იგი გარდაიცვალა 1849 წელს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში. კომპოზიტორის

ანდერძის თანახმად, სიკვდილის შემდეგ მისი გული ჩატანილ იქნა ვარშავაში.

ყარა ყარაევი დაიბადა 1918 წელს ქალაქ ბაქოში, ცნობილი ექიმი-პედიატრის აბულფაზ ყარაევის ოჯახში. აზერბაიჯანის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლის შემდეგ კომპოზიტორმა განათლების მიღება გააგრძელა მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიაში, მსოფლიოში ცნობილი კომპოზიტორის დ. შოსტაკოვიჩის კლასში. გამოჩენილმა კომპოზიტორმა, პროფესორმა, აკადემიკოსმა ყ. ყარაევმა შექმნა გრანდიოზული მუსიკალური ნაწარმოებები ოპერის, ოპერეტის, ბალეტის, სიმფონიის ჟანრში. იგი არის ავტორი მრავალი ნაწარმოების ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, რომანსების. მან დაწერა მუსიკა კინოფილმებისათვის „ზღვის დამპყრობნი“, „ოქროს ეშელონი“, „კასპის მენავთობეთა ამბავი“, „მორეულ ნაპირებზე“ და სხვ. ყარა ყარაევი გარდაიცვალა 1982 წელს.

მოვლსმინოთ მუსიკას



პოლ სევანი. „პონტუაზის გზა“

ყ. ყარაევის საფორტეპიანო პიესა „ჩაფიქრება“, როგორც ფ. შოპენის „მი-მინორული ვალსი“, ჟღერს ვალსის ტემპში. ნაწარმოების მელოდია ლირიული, ნარნარი, სასიმღერო ხასიათისაა, რომელიც ადამიანში ლამაზ გრძნობებს აღძრავს.

ფ. შოპენი. „მი-მინორული ვალსი“ ყ. ყარაევი. საფორტეპიანო პიესა „ჩაფიქრება“

ფ. შოპენის „მი-მინორულ ვალსში“ კომპოზიტორი მუსიკის საშუალებით გადმოგვცემს ბუნების, მისი ფლორისა და ფაუნის ზღაპრულ, განუმეორებელ სილამაზეს.



სათარ ბახლულზადე.
„დედამიწის ოცნება“

როგორც ფ. შოპენის „მი-მინორული ვალსი“, ისე ყ. ყარაევის „ჩაფიქრება“ გამდიდრებულია ხალხური მუსიკის კოლორიტით. ორივე ნაწარმოებს აერთიანებს ვალსის ჟანრი. არაა შემთხვევითი, რომ ეს ნაწარმოებები შედის მსოფლიოს ყველაზე ცნობილი პიანისტების რეპერტუარში. ორივე ამ ნაწარმოებში გამოხატულია როგორც ეროვნული, ისე ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები.

ვიმღეოთ ნოტების მიხედვით

ნაწყვეტი რიტმული მულამიდან „ხეირათი“

მი-მაჟორში წარმოდგენილი ნაწყვეტი ვიმღეოთ მი-მინორულ ტონალობაში.



ვისწავლოთ ახალი სიმღერა

აზერბაიჯანელი მეომარი (AZƏRBAYCAN ƏSGƏRİ)

მუსიკა ოქტაი ზულფუგაროვისა
სიტყვები პანახ ალიევისა

I
Sabahların zəfəri,
Azərbaycan əsgəri.
Qov Vətəndən düşməni,
Azərbaycan əsgəri.

მისამღერი:
Qəm libası geyməsin,
Bizim çiçəkli dağlar.
Güllə səsi, top səsi,
Eşitməsin uşaqlar.

II
Mərd ordumuz yaşasın,
Bu torpaqdan güc alsın.
Üçrəngli bayrağımız,
Yüksəklərə ucalсын.



კითხვები:

1. რა ანდერძი დატოვა ფ. შოპენმა, პოლონეთისადმი მის უსაზღვრო სიყვარულს რომ მოწმობს?
2. რა მსგავსებაა ყ. ყარაევის „ჩაფიქრებასა“ და ფ. შოპენის „მი-მინორულ ვალსს“ შორის?
3. ვინ არიან ავტორები სიმღერისა „აზერბაიჯანელი მეომარი“ («Azərbaycan əsgəri»)?

დავალება: მოამზადე ხალხური სიმღერების პოპური.

4. ეროვნული თავისებურებანი კომპოზიტორთა შემოქმედებაში



უზეირ ჰაჯიბეილი

მსოფლიო მუსიკის ისტორიაში კომპოზიტორები ყოველთვის მიმართავდნენ როგორც საკუთარ, ისე სხვა ხალხთა მუსიკალურ მემკვიდრეობას. მაგალითად, გენიალური რუსი კომპოზიტორი მ. ი. გლინკა თავის ოპერაში „რუსლანი და ლუდმილა“ იყენებს აზერბაიჯანულ ხალხურ სიმღერას «Qalanin dibində» („ცხესიმაგრის ძირას“), პ. ი. ჩაიკოვსკი თავის „მე-4 სიმფონიაში“ – უკრაინულ ხალხურ სიმღერას „მინდორში იდგა არყის ხე“, უნგრელი კომპოზიტორი ბ. ბარტოკი თავის „მე-3 კვარტეტში“ – აზერბაიჯანულ ხალხურ ცეკვას „თარაქამა“, გენიალური გერმანელი კომპოზიტორი ი. ს. ბახი ორდანიისათვის დაწერილ ნაწარმოებში „ტოკატა და ფუგა რე-მინორი“ იყენებს კლასიკური აზერბაიჯანული მულამის „ბაიათი-შირაზის“ ინტონაციებს. გენიალური აზერბაიჯანელი კომპოზიტორი უზეირ ჰაჯიბეილი მთელ რიგ მუსიკალურ სცენურ ნაწარმოებებში სარგებლობდა აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის ნიმუშებით. თავის მულამურ ოპერაში „ლეილი და მეჯუნნი“ სარდალ ნოფელის არიაში კომპოზიტორმა გამოიყენა აზერბაიჯანული რიტმული მულამი „ხეირათი“.



სცენა ოპერიდან „ლეილი და მეჯუნნი“

მოვუსმინოთ მუსიკას

„ნოფელის არია“ უ. ჰაჯიბეილის ოპერიდან „ლეილი და მეჯუნნი“

ეს უნდა იცოდეთ

1908 წლის 25 იანვარს ქალაქ ბაქოში, ახლანდელი აზერბაიჯანის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თატრის შენობაში დაიდგა უზეირ ჰაჯიბეილის მულამური ოპერა „ლეილი და მეჯუნნი“. ამ ოპერამ საფუძველი ჩაუყარა ოპერის ჟანრს მთელ აღმოსავლურ სამყაროში. რამდენადაც საკუთარი ორიგინალური მუსიკის გვერდით დიდმა კომპოზიტორმა ამ ნაწარმოებში გამოიყენა კლასიკური მულამი, ამ ოპერას ეწოდა მულამური ოპერა.

შევადართო მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები მულამ „ხეირათსა“ და „ნოფელის არიას“ შორის.

მსგავსება

1. ერთნაირი მელოდია.
2. ერთნაირი რიტმი.
3. ერთნაირი ტემპი.

განსხვავება

1. ოპერაში რიტმული მულამი სრულდება სიმფონიური ორკესტრის თანხლებით.
2. რიტმული მულამიც „ხეირათი“ უდერს ან მომღერალი-ხანენდეს შესრულებით ხალხური ინსტრუმენტების ანსამბლის თანხლებით, ან ინსტრუმენტული შესრულებით.

გავიხსენოთ და შევასრულოთ სიმღერა

BAĞÇADA GÜL (ყვავილი ბაღში)

(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)

I

Şəfəq saçır gün bizə,
Bəh-bəh, nə gözəl olur!
Çıxaq tarlaya, düzə,
Bəh-bəh, nə gözəl olur!
Qızlar, bu al səhərlə,
Gəlin duraq üz-üzə.



მისამღერი:

Bağçalar gül açır,
Bülbüllər dil açır.
Yer geyir al-əlvan,
Bəh-bəh, nə gözəl olur!

II

Bütün ellər oyansın,
Bəh-bəh, nə gözəl olur!
Çöllər nura boyansın,
Bəh-bəh, nə gözəl olur!
«Ağ qızıl» tayaları,
Buludlara dayansın.



ეს სიმღერა, რომელიც შრომის თემაზეა, საცეკვაო ხასიათისაა, ტაქტის ზომით 6/8, სრულდება საშუალო ტემპით

კითხვები:

1. მსოფლიოს რომელმა კომპოზიტორებმა გამოიყენეს აზერბაიჯანული ხალხური მუსიკა?
2. ხალხური მუსიკის რომელი სახეობანი გამოიყენა თავის ნაწარმოებებში უ. ჰაჯიბეილიმ?
3. რა თემაზეა დაწერილი სიმღერა «Bağçada gül» („ყვავილი ბაღში“)?

დავალება: დახატე სურათი სიმღერის «Bağçada gül» („ყვავილი ბაღში“) თემაზე.

5. ომის თემა მუსიკაში



დimitრი
შოსტაკოვიჩი

როგორც ლიტერატურაში, კინოსა და ფერწერაში, ომის თემამ ასახვა ჰპოვა მუსიკაშიც. მე-20 საუკუნის დიდმა რუსმა კომპოზიტორმა დიმიტრი შოსტაკოვიჩმა თავის „მე-7 სიმფონიის“ 1 ნაწილში მუსიკის საშუალებით შეძლო ეჩვენებინა ომის მთელი საშინელებანი, რაც მოჰყვა გერმანელი ფაშისტების თავდასხმას ყოფილ საბჭოთა კავშირზე.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდი რუსი კომპოზიტორი დ. შოსტაკოვიჩი 15 სიმფონიის, 2 ოპერის, 3 ბალეტის, ინსტრუმენტული ორკესტრებისათვის შექმნილი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებების, აგრეთვე კინოფილმებისა და თეატრალური წარმოდგენებისათვის დაწერილი მუსიკის ავტორია.

ეს უნდა იცოდეთ

დ. შოსტაკოვიჩის „მე-7 სიმფონიის“ პრემიერა შედგა 1942 წელს ქალაქ კუიბიშევში (ახლანდელი ქალაქი სამარა). ეს სიმფონია დიდი წარმატებით შესრულდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისსა და მსოფლიოს დიდ დედაქალაქებში და დიდი მოწონება დაიმსახურა ფართო მაყურებელში.

მოგუსმინოთ მუსიკას

ეპიზოდი „თავდასხმა“ დ. შოსტაკოვიჩის „მე-7 სიმფონიიდან“

ომის თემა აზერბაიჯანულ პროფესიულ და ხალხურ მუსიკაშიც აისახა. 1941-45 წლებში ჩვენმა კომპოზიტორებმა შექმნეს მრავალი ნაწარმოები ომის თემაზე. მეორე მსოფლიო ომის თემას მიეძღვნა ყარა ყარაევისა და ჯოვდათ გაჯიევის ოპერა „სამშობლო“, კომპოზიტორების აფრასიაბ ბადალბეილისა და ბორის ზეიდმანის ერთმოქმედებიანი ოპერა „სახალხო რისხვა“.



ფრაგმენტები დოკუმენტური ფილმებიდან მეორე მსოფლიო ომის შესახებ.

ეს უნდა იცოდეთ

მულამი „ჩახარგიახი“, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კლასიკურ აზერბაიჯანულ მულამებს შორის, გამსჭვალულია ბრძოლის, გმირობის სულისკვეთებით. გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტი ბახტიარ ვაგაზზადე თავის პოემაში „მულამი“ ასე გადმოგვცემს ამ განწყობილებას:

**Təlatümlər, həyəcanlar
Bərdəştıdır – ön sözüdür
Çahargahın**



მირ მოხსუნ ჰავაბი

პოეტი, მხატვარი, კალიგრაფი და მეცნიერი-მუსიკათმცოდნე მირ მოხსუნ ჰავაბი, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აზერბაიჯანის ქალაქ შუშაში, მულამ „ჩახარგიახს“ ადარებს ჭექა-ქუხილს, ხოლო ცნობილი მეთარე აჰმედ ბაკიხანოვი – ბრძოლის ველის გუგუნს.

მოვესმინოთ მუსიკას

„მანსურია“. ბოლო ნაწილი მულამისა „ჩახარგიახი“.

შევსწავლოთ ახალი სიმღერა

თავისუფლების მარში (AZADLIQ MARŞI)

I
Ey ulu Vətənim, doğma torpağım,
Var tükənməz odun, sönməz ocağın.
Azadlığa çıxmaq üçün qalxsın bayrağın.

*მუსიკა რიტმული მულამიდან „ხეირათი“
სიტყვები ელჩინ მირზაბეილისა*

მისამღერი:

Qalx ayağa millət, boğmasınlar səsimizi,
Bir bayraq altında birləşdir bizi.] 2

II

Biz ki vətən oğlu, millət oğlu, odlar oğluyuq,
Biz ki xalqa bağlı, yurda bağlı, elə bağlıyıq,
Biz ki haqq yolunda andımızdan dönmərik heç vaxt
Vuruş zülmə qarşı, ey ulu torpaq!

მისამღერი:

კითხვები:

1. რა იცი დ. შოსტაკოვიჩის შესახებ?
2. რა ხასიათისაა მულამი „ჩახარგიახი“?
3. რომელი რიტმული მულამიდან არის აღებული მელოდია სიმღერისა „თავისუფლების მარში“ («Азadлыг маршы»)?

დავალება: დახატე სურათი თემაზე „აზერბაიჯანელები მეორე მსოფლიო ომში“.


6. პოლიფონია მუსიკაში

ეს უნდა იცოდეთ

ძველი შუმერული არქიტექტურისათვის დამახასიათებელ 3-, 5-, 7-საფეხურიან ტაძრებს ერქვა „ზიკურატი“. ზიკურატის ყველაზე მაღლა მდებარე საფეხურზე, რომელიც სიმალის ზრდასთან ერთად ვიწროვდება, მოთავსებული იყო სამლოცველო. ძველი შუმერები ზიკურატს იყენებდნენ ობსერვატორიადაც – ციურ მნათობებზე დაკვირვებისათვის.



აზერბაიჯანული მულამების აღნაგობა ზიკურატის მსგავსია. ყოველი ახალი ნაწილი ერთი საფეხურით მაღალია წინაზე. ეს შეიძლება ასე გამოვსახოთ:



მოვუსმინოთ მუსიკას

მოვუსმინოთ კომპოზიტორისა და დირიჟორის ნიაზის სიმფონიური მულამის „რასტის“ მეორე ნაწილს.



ნიაზი

აზერბაიჯანის სახალხო არტისტი, მსოფლიოში ცნობილი დირიჟორი, კომპოზიტორი ნიაზ ზულფეგარ ოღლი ტაგიზადე ჰაჯიბეკოვი დაიბადა 1912 წლის 20 აგვისტოს ქალაქ თბილისში. თავიდან იგი სწავლობდა ბაქოს მუსიკალურ ტექნიკუმში, შემდეგ კი მუსიკალური განათლების მიღება განაგრძო მოსკოვსა და ლენინგრადში (ახლანდელი სანკტ-პეტერბურგი).

1934 წელს მან დაწერა სიმფონიური სუიტა „ზაქათალა“, 1942 წელს ოპერა „ხოსროვი და შირინი“, 1949 წელს სიმფონიური მულამი „რასტი“, ხოლო 1961 წელს ბალეტი „ჩიტრა“. ამ ბალეტისათვის კომპოზიტორს მიენიჭა ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის საერთაშორისო პრემია. ნიაზს ასევე ეკუთვნის მთელი რიგი სიმღერები – «Təbrizim» („ჩემი თავრიზი“), «Dağlar qızı» („მთიელი ქალი“), „არზუ“ და «Vətən haqqında mahnı» („სიმღერა სამშობლოზე“), მათ შორის მუსიკა, დაწერილი კინოფილმებისათვის „ალმასი“, „გლეხები“, „ფატალი ხანი“ და სხვ. მსოფლიო კულტურის მარგალიტად ითვლება კომპოზიტორის ნაწარმოებები ოპერა-კანტატა „1920 წელს“, „საცეკვაო სუიტა“, „კაითალი“ სიმფონიური ორკესტრისათვის. კომპოზიტორი გარდაიცვალა 1984 წელს ქალაქ ბაქოში.

მოვუსმინოთ მუსიკას

ი. ს. ბაზი. „ფუგა“

(ნაწარმოებიდან „ტოკატა და ფუგა რე-მინორი“ ორღანისათვის)

ეს უნდა იცოდეთ

პოლიფონია ნიშნავს მრავალხმიანობას. ერთ-ერთ პოლიფონიურ მუსიკალურ ჟანრს წარმოადგენს ფუგა. ფუგა ლათინური სიტყვაა, ნიშნავს „რბენას“. ფუგა მრავალხმიანი პოლიფონიური ნაწარმოებია, რომელიც შექმნილია განსაკუთრებით მკაცრი კანონების საფუძველზე. გენიალურმა კომპოზიტორმა ი. ს. ბახმა ეს ჟანრი უმაღლეს საფეხურზე აიყვანა. ფუგა შექმნა გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა ყარა ყარაევამც. ფუგა შეიძლება იყოს დამოუკიდებელი ჟანრიც და ასევე შემადგენელი ნაწილიც ისეთი ჟანრებისა, როგორიცაა სიმფონია, კანტატა, ორატორია, რეკვიემი და სხვ.



ორღანი

შევისწავლოთ ახალი სიმღერა

სიმღერა ბაქოზე (BAKI HAQINDA MAHNI)

Xəzərimin sinəsi
Gah zil, gah da bəm olur.
Yarpaqların, güllərin
Niyə hərdən nəm olur?
Səndən ayrı düşəndə
Sinəm dolu qəm olur.

მისამღერი:

Qucağında Xəzərin
Yatıb dincələn Bakı.
Qarı, çiskin, yağış
Əyri, köndələn Bakı.

Hələ neçə küçəndə
Güllər dəstələnməyib.
Hələ neçə nəğmənin
Xalı bəstələnməyib.
Yüz il ömür sürəydim,
Bir gün xəstələnməyib.

მისამღერი:

Yazaydım, yaradaydım,
Şah nəğməni mən, Bakı.
Söyləyəydim hər yanda
Onu ürəkdən, Bakı.

მუსიკა ვასიფ ადიგეზალოვისა
სიტყვები რასულ რზასი



კითხვები:

1. რა არის „ზიკურატი“ და რატომ უდარებენ მას ჩვენს მულამებს?
2. ნიაზის რომელი ნაწარმოებები იცი?
3. რა არის პოლიფონია?
4. რა იცი ფუგის შესახებ?

დავალება: მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია თემაზე „სიმღერები ბაქოზე“.

7. ჰომოფონია მუსიკაში

მოვესმინოთ მუსიკას

ი. ს. ბახი. პრელუდია „ლა-მინორი“
ლ. ვ. ბეთჰოვენი. მენუეტი „სოლ-მაჟორი“



ლუდვიგ ვან
ბეთჰოვენი

მოვესმინოთ მუსიკას

ფ. შუბერტი. „ავე მარია“

გამოჩენილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორი ფიქრათ მაშადი ჯამილ ოღლი ამიროვი დაიბადა 1922 წლის 22 ნოემბერს ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში – ქალაქ განჯაში, ცნობილი მეთარის მეშადი ჯამილის ოჯახში.

ფიქრათ ამიროვი არის დამაარსებელი მსოფლიო მუსიკალურ კულტურაში ახალი მუსიკალური ჟანრისა – სიმფონიური მულამისა. მისი სიმფონიური მულამები „შური“ და „კურდოვშარი“ ჩვენი პლანეტის ყველაზე ცნობილ დარბაზებში სრულდება და მსმენელთა უდიდესი სიყვარულით სარგებლობენ.

გენიალურმა კომპოზიტორმა შექმნა ხელოვნების მშვენიერი მარგალიტები თითქმის ყველა მუსიკალურ ჟანრში. მისი ნაწარმოებების ლამაზი, ხალისიანი მელოდიები, მათი ჟანრების მიუხედავად, სიყვარულით სარგებლობენ არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელს მსოფლიოში.

მოვესმინოთ მუსიკას

ნაწყვეტი ფ. ამიროვის სიმფონიური მულამის „შურის“ ნაწილიდან „სიმაი-შამსი“

სიმფონიური მულამ „შურის“ ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ ამ ნაწარმოების შექმნისას გამოჩენილმა კომპოზიტორმა გამოიყენა როგორც პოლიფონიური, ასევე ჰომოფონიური სტილი.

ვიმღეროთ ნოტების მიხედვით

ნაწყვეტი სიმფონიური მულამის „შურის“ ნაწილიდან „სიმაი-შამსი“



შევსწავლოთ ახალი სიმღერა

იჩერიშეხერი

მუსიკა ოქტავი რაჯაბოვისა
სიტყვები სევინჯ ნურუგიზისა

I

Daşlarında gəzişsin,
Gilavarın sığalı.
Bakımın min illərdən,
Gələn şirin nağılı.
Səni çox sevirəm, çox,
Həyatımın, qəlbimin,
Ruhumun iç şəhəri,
Qədim İçərişəhər!

მისამღერი:

Susuzluqdan yananda
Dodağın, iç Xəzəri.
Xəzri, əs, al qoynuna,
Mənimlə keç şəhəri.
Çək məni nəfəs kimi,
Köksünə, ey qəlbimin,
Ruhumun iç şəhəri,
Qədim İçərişəhər!



II

Əsrlər naxış salıb,
Torpağına, daşına.
Qız qalası tac kimi,
Qoyulubdur başına
Kim inanar, soruşsa,
Sənin bunca yaşına?
Qəlbimin iç şəhəri,
Qədim İçərişəhər!

მისამღერი:

Susuzluqdan yananda
Dodağın, iç Xəzəri.
Xəzri, əs, al qoynuna,
Mənimlə keç şəhəri.
Çək məni nəfəs kimi,
Köksünə, ey qəlbimin,
Ruhumun iç şəhəri,
Qədim İçərişəhər!



ეს უნდა იცოდეთ

ყველა სიმღერა, რომელიც აქამდე შევისწავლეთ, წარმოადგენენ ჰომოფონიურ ნაწარმოებებს. მათში ძირითად მელოდიას ასრულებენ მოსწავლეები, ფორტეპიანოს აკომპანემენტით.

კითხვები:

1. რა განსხვავებაა პოლიფონიურ და ჰომოფონიურ ნაწარმოებებს შორის?
2. ვინ არიან ავტორები სიმღერისა „იჩერიშეხერი“?
3. რომელ ჟანრს მიეკუთვნება ჩვენ მიერ აქამდე შესწავლილი სიმღერები – პოლიფონიურს თუ ჰომოფონიურს?

დავალება: მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია თემაზე „იჩერიშეხერი“.

განვლილი თემების განმეორება და I მცირე შემაჯამებელი შეფასება

წარმოდგენილი პორტრეტების მიხედვით დაასახელეთ კომპოზიტორები და პოეტები




ტესტები

- რომელმა კომპოზიტორმა გამოიყენა თავის ოპერაში აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა «Onu demə, zalim yar» („ნუ ამზობ ამას, სასტიკო სატრფოვ“):
ა) ყ. ყარაევმა ბ) ფ. ამიროვმა გ) ნიაზიმ
- ვინ არის მსოფლიოში ცნობილი აზერბაიჯანელი დირიჟორი-კომპოზიტორი?
ა) მ. მაგომაევი ბ) თ. ყულიევი გ) ნიაზიმ
- ვინ არის აზერბაიჯანში სიმფონიური მულამის ჟანრის შემქმნელი?
ა) ჯ. ჯაჰანგიროვი ბ) გ. ჰუსეინოვი გ) ფ. ამიროვი
- რომელმა კომპოზიტორმა დაწერა ყველაზე მეტი ნაწარმოები ორლანსათვის?
ა) ლ. ვ. ბეთჰოვენმა ბ) პ. ი. ჩაიკოვსკიმ გ) ი. ს. ბახმა
- რომელმა კომპოზიტორმა დატოვა ანდერძი, სიკვდილის შემდეგ მისი გული ვარშავაში ჩაეტანათ?
ა) ლ. ვ. ბეთჰოვენმა ბ) ფ. შოპენმა გ) დ. შოსტაკოვიჩმა
- რომელი კომპოზიტორის „მე-7 სიმფონიის“ ეპიზოდს ჰქვია „თავდასხმა“?
ა) ყ. ყარაევის ბ) ჯ. გაჯიევის გ) დ. შოსტაკოვიჩის
- რომელი კომპოზიტორის ნაწარმოებებია დაწერილი ძირითადად პოლიფონიურ სტილში?
ა) ლ. ვ. ბეთჰოვენის ბ) ი. ს. ბახის გ) ო. ზულფუგაროვის

მუსიკის
ზემოქმედების ძალა
(გაგრძელება)



8. ბრძოლის თემა მუსიკაში



პიტერ აბრაჰამსონი

ბალეტი „მეხის ბილიკით“ გენიალურმა კომპოზიტორმა ყარა ყარაევმა ლენინგრადის (ახლანდელი სანკტ-პეტერბურგის) ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის დაკვეთით დაწერა. ნაწარმოები სცენაზე დაიდგა 1958 წელს. ბალეტი შეიქმნა სამხრეთ აფრიკელი მწერლის პიტერ აბრაჰამსონის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. ბალეტის ლიბრეტოს ავტორი იყო იური სლონიმსკი, ქორეოგრაფი – პეტრე გუსევი.


ბალეტში „მეხის ბილიკით“ მუსიკისა და ქორეოგრაფიის საშუალებით გადმოცემულია ბრძოლა რასიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შავკანიანი ახალგაზრდა ჭაბუკი ლენი ბრუნდება თავის სოფელში, რათა ახალგაზრდობის აღზრდას მოჰკიდოს ხელი. მისი მშობლები და მეგობრები ზეიმს აწყობენ მისი დაბრუნების აღსანიშნავად. ეს ამბავი არ სიამოვნებს თეთრკანიან კოლონიატორს გერტ ვილერს. ლენის გაკვეთილის დროს მეზობელი სოფლიდან მოდიან ბავშვები მათ მასწავლებელ მაკოსთან ერთად. ისინი ერთად იწყებენ ცეკვას. ეს არ მოსწონს გერტს და სკოლის დახურვის ბრძანებას იძლევა.

ლენი და მაკო ამხელენ მჩაგვრელ-ოკუპანტებს. ლენის ესვრიან. თეთრები ცეცხლზე წვავენ ლენის და მის შეყვარებულს სარის. მაკო ბრძოლისაკენ მოუწოდებს ხალხს: „კმარა ჩვენი დამცირება და შეურაცხყოფა! ჩვენი გზა ბრძოლაა!“



იური სლონიმსკი



პეტრე გუსევი




სცენა ბალეტიდან „მეხის ბილიკით“

მოვლსმინოთ მუსიკას

„გოგონების ცეკვა გიტარით“
ყარა ყარაევის ბალეტიდან „მეხის ბილიკით“.

ვიმლეროთ ნოტების მიხედვით

„გოგონების ცეკვა გიტარით“



აზერბაიჯანელი ხალხი მრავალი საუკუნის მანძილზე იბრძოდა სამშობლოს თავისუფლებისათვის. ბრძოლის იდეა ასახულია ჩვენი კომპოზიტორების ნაწარმოებებსა და ხალხურ მუსიკაში.

მაგალითად, სამშობლოსათვის ბრძოლა ასახულია უ. ჰაჯიბეილის ოპერაში „ქოროლი“, ჯ. ჯაჰანგიროვის ვოკალურ-სიმფონიურ პოემაში „არაქსის მეორე მხარეს“, ალიზადეს ოპერაში „ინტიზარი“, ბ. ადიგეხალოვის ორატორიაში „ჩანაგალა“, ო. რაჯაბოვის სიმფონია-რეკვიემში „ჩინგიზი“ და სხვა ნაწარმოებებში.

სამშობლოსათვის ბრძოლის თემა გვხვდება ჩვენს ხალხურ სიმღერებშიც. სიმღერები «Dağlar qoyununda» („მთებში“), «Meydan başında» („ბრძოლის ველზე“), «Qoç Koroğludur» („მამაცი ქოროლი“), «Qırat, gəl» („მოდი, გირატ“) – ეძღვნება ლეგენდარულ სახალხო გმირ ქოროლისა და მისი მამაცი მეგობრების ბრძოლას.

შევისწავლოთ ახალი სიმღერა

მშვიდობის ჩირაღდანი (SÜLH MƏŞƏLİ)

მუსიკა ელნარი დადაშევასი
სიტყვები რაფიგ იუსიფოღლისა

I

დედამიწის ოთხივე მხარე
ერთ ოცნებას შეჰხარის,
მშვიდობა დაამყაროს,
არ სურს ომი სამყაროს.

მისამღერი:

ჩირაღდანი მშვიდობის,
დამდაგველია ომის.

II

ხალხს უნდა, მშვიდობიანი
იღგეს მუდამ დღეები.
ამ სიმღერას მღერიან
მშვიდობის მომხრეები!

მისამღერი:

ჩირაღდანი მშვიდობის,
დამდაგველია ომის.



ეს სიმღერა, რომელიც დაწერილია მარშის ტემპში, არის ორხმიანი. თითოეული ბგერა ამ სიმღერისა, რომელიც შექმნილია ძირითადად ტერციისა და სექსტის ინტერვალებისაგან, უნდა შესრულდეს ზუსტად.

კითხვები:

1. ვინ არიან ბალეტის „მეხის ბილიკით“ შემქმნელები?
2. რომელი ავტორის ამავე სახელწოდების ნაწარმოების საფუძველზე დაიწერა ბალეტი „მეხის ბილიკით“?
3. კიდევ რომელი სიმღერები იცი, რომლებშიც პატრიოტული სულისკვეთება გამოხატული?

დავალება: დახატე სურათი თემაზე „ბავშვებს მშვიდობა სურთ“.

9. დაძაბულობა მუსიკაში



სერგეი
რახმანინოვი

დიდი რუსი კომპოზიტორის სერგეი რახმანინოვის ნაწარმოებებს დიდი სიყვარულით უსმენენ არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში. მას ისეთი ცნობილი პიანისტი-კომპოზიტორების გვერდით იხსენიებენ, როგორებიც არიან ფრანც შუბერტი და ფრედერიკ შოპენი. ფორტეპიანოზე დაკვრის ვირტუოზმა შემსრულებელმა კომპოზიტორმა ამ ინსტრუმენტისათვის შექმნა სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები, კონცერტები, რომანსები, სიმღერები, აგრეთვე ერთმოქმედებიანი ოპერა „ალეკო“.

ს. რახმანინოვი ავტორია ოთხი კონცერტისა ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის. მართალია, თავის შემოქმედებაში იგი არასდროს შეხებია რევოლუციურ თემებს, მაგრამ ღრმა დრამატიზმი მისი „საფორტეპიანო კონცერტისა № 2“, დაძაბულობა მუსიკაში, მრავალრიცხოვანი აკორდები აძლევენ მას რევოლუციურ სულისკვეთებას.

მოფუსმინოთ მუსიკას

შესავალი ს. რახმანინოვის „კონცერტი № 2“-ის 1 ნაწილი



ალექსანდრე პუშკინი

სერგეი რახმანინოვმა გენიალური რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის სიტყვებზე მრავალი რომანსი დაწერა. მის რომანსში „ნუ მღერი, ლამაზო“ გამოყენებულია აღმოსავლური მუსიკალური ინტონაციები. ღირიული თემის მიუხედავად, ამ რომანსის მელოდიაში იგრძნობა დაძაბულობა, მღელვარება.

ალექსანდრე პუშკინის ამავე ლექსის აზერბაიჯანულ თარგმანის მიხედვით რომანსი შექმნა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა ალაზჯაი რზაევამაც. ამ რომანსის პირველი შემსრულებელი იყო სახელგანთქმული მომღერალი, სახალხო არტისტი ბულბული.

ვიმღეროთ ნოტების მიხედვით

ნაწყვეტი რომანსიდან „ნუ მღერი, ლამაზო“

მუსიკა სერგეი რახმანინოვის
სიტყვები ალექსანდრე პუშკინისა



მოგუსმინოთ მუსიკას

ნუ მღერი, ლამაზო (OXUMA, GÖZƏL)

მუსიკა აღაბაჯი რზაევასი
სიტყვები ალექსანდრ პუშკინისა

შევისწავლოთ ახალი სიმღერა

გზა მშვიდობისა (YAXŞI YOL)

მუსიკა უზეირ ჰაჯიბეილისა
სიტყვები სულეიმან რუსტამისა

I

სოლო:

Dörd qardaş, qurban olaq ana yurda dördümüz,
Qüdrətlidir ellərimiz, yox ürəkdə dərdimiz
Qoymaz tapdansı Vətəni qoçağımız, mərdimiz.

მისამღერი:

(გუნდი)

Düşmənlərə vermə aman, get qardaşım, yaxşı yol!
Yurdlarını elə viran, get qardaşım, yaxşı yol!

II

(სოლო:)

Qədrini bil, toxunmasın sənə bir yad gülləsi,
Sən lazımsan bu ellərə, ey Vətənin haqq səsi,
Var səsinlə qəlbən oxu qalibiyyət nəğməsi.

მისამღერი:

(გუნდი)

III

(სოლო:)

Poladdan bir səngər kimi sinəni gər hücumda,
Düşmənləri yuvasından et dərbəder hücumda,
Azdır, yenə sən min düşmən qırsan əgər hücumda.

მისამღერი:

უ. ჰაჯიბეილის სიმღერა „გზა მშვიდობისა“ («Yaxşı yol»), მარშის ხასიათისაა, ეძღვნება აზერბაიჯანელ მეომრებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში იბრძოდნენ. შესრულებისას ყურადღება მიაქციეთ ფორმულაგების სწორ მიწოდებას.

კითხვები:

1. სერგეი რახმანინოვის რომელი ნაწარმოებები იცი?
2. რომელი რუსი პოეტის ლექსზეა დაწერილი ს. რახმანინოვის რომანსი „ნუ მღერი, ლამაზო“?
3. ვინ არიან ავტორები სიმღერისა „გზა მშვიდობისა“ («Yaxşı yol»)?

დავალება: მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია უზეირ ჰაჯიბეილის საბავშვო სიმღერების თემაზე.



სულეიმან
რუსტამი



10. ეროვნული გმირის სახე მუსიკაში



ჩინგიზ მუსტაფაევი

აზერბაიჯანის ეროვნული გმირი ჩინგიზ მუსტაფაევი იყო ცნობილი ჟურნალისტი, გაზედული რეპორტიორი და მგზნებარე პატრიოტი, რომელმაც 1992 წლამდე პერიოდის სომხეთ-აზერბაიჯანის ომის ჭეშმარიტი მატინე შექმნა. ხოჯალიში გადაღებული დოკუმენტური ფილმის გამო მის სახელს მაღლიერებითა და სიამაყით იხსენებენ არა მხოლოდ აზერბაიჯანში, არამედ მთელ მსოფლიოში. ხოჯალის მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი

საშინელი, ენით აუწერელი მხეცობა, ხოჯალის გენოციდის ყველა ვითარება აღბეჭდა ჩინგიზის კამერამ მისი მწარე ოხვრის თანხლებით. მამაცი ჟურნალისტი ყუმბარის ნამსხვრევისაგან მიყენებული ჭრილობით დაიღუპა 1992 წლის 15 ივნისს სოფელ ნახჩივანიკში გადაღების დროს.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით 1992 წლის 6 ნოემბერს ჩინგიზ მუსტაფაევს სიკვდილის შემდეგ აზერბაიჯანის ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.



ხოჯალის მოვლენები

კომპოზიტორ ოქტაი რაჯაბოვმა პოეტ-პუბლიცისტ აღმინ ბაბაევთან ერთად შექმნა 8 ნაწილიანი სიმფონია-რექვიემი, რომელიც ჩინგიზ მუსტაფაევის ხსოვნას მიეძღვნა. იგი შესრულდა 2011 წლის 29 აპრილს მუსლიმ მაგომაევის სახელობის აზერბაიჯანის სახელმწიფო ფილარმონიაში სიმფონიური ორკესტრის, სოლისტების, გუნდისა და მკითხველის მიერ.

მოკუსმინოთ მუსიკას

სიმფონია-რექვიემის „ჩინგიზის“ მე-7 ნაწილი, „საყოველთაო გლოვა“



ეს ნაწილი მთავრდება მელოდიით, რომელიც ეფუძნება კლასიკური აზერბაიჯანული მულამის „ხუმაიუნის“ ინტონაციებს. შემდეგ გუნდი ასრულებს უსიტყვო მელოდიას. ამის შემდეგ მუსიკალური ინსტრუმენტის – „ინგლისური საყვირის“ და სიმფონიური ორკესტრის შესრულებით ისევ ჟღერს მელოდია მულამ „ხუმაიუნის“ ინტონაციებზე.



ინგლისური საყვირი

11. კლასიკური აზერბაიჯანული მულამი „სეგიახი“


მოვესმინოთ მუსიკას

მულამ „სეგიახის“ ნაწილი „მანენდი-ხისარი“



თოღრულ ნარიმანბეკოვი.
„მულამი“

„სეგიახი“ წარმოადგენს ხალხში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მულამს. სახალხო მულამების ოჯახში ის მესამეა. სიტყვა „სეგიახის“ სპარსულიდან თარგმანი ნიშნავს „სე“ – სამი, „გიახ“ – მდგომარეობა, ადგილი. აზერბაიჯანში არსებობს ისეთი ნაირსახეობანი „სეგიახისა“, როგორცაა „სეგიახი“, „ზაზულ სეგიახი“, „მირზა ჰუსეინ სეგიახი“ („მირზა ჰუსეინის სეგიახი“), „ხარიჯ სეგიახი“ და სხვ. „სეგიახი“ შედგება შემდეგი განყოფილებებიდან:



ბერდამტი	ერთგვარი უვერტიურა
მაიენ-სეგიახი	გრძნობები, გამოხატული ბერდამტში, აქ ვლინდება უფრო გახსნილად. მუსიკის გადასვლა მინორიდან მაჟორში ცვლის „მაიენ-სეგიახის“ ხასიათს და მას ბოლომდე ხსნის.
მანენდი-ხისარი	სიტყვა „მანენდი“ ნიშნავს „მსგავსს, მისგავსებულს“ (ხისარის მსგავსი).
მანენდი-მუხალიფი	სიტყვა „მუხალიფი“ ნიშნავს „პირიქით, უკუ, შეუსაბამო“.
ზილ-სეგიახი	„ზილ სეგიახი“ ჟღერს ერთი ოქტავით მაღლა. მიუხედავად ცოცხალი ჟღერადობისა, მძიმე და სევდიანია.
სეგიახა აიაგი	ამ ნაწილში სეგვიანი მელოდია კიდევ ერთხელ ამტკიცებს ადამიანური სიყვარულის ღვთაებრიობას.

მულამი „სეგიახი“ ადამიანის სულში სიყვარულის გრძნობას აღძრავს.

მოგუსმინოთ მუსიკას

მულამ „სეგიახის“ ნაწილი „მანენდი-მუხალიფი“

ვიმღეოთ ნოტების მიხედვით

მულამ „სეგიახის“ ზგერათორიგო



გავიხსენოთ და ვიმღეოთ ნოტების მიხედვით და სიტყვებით

SARIBÜLBÜL (კანარის ჩიტი)

(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)

Moderato

Və - tən ba - ğı al əl - van - dır, Yol üs - tün - də
 sa - rı bül - bül. Ö - mür sür - mə -
 li döv - ran - dır, Sə - sin gəl - sin ba - rı bül - bül.
 Ö - mür sür - mə - li döv - ran - dır,
 Sə - sin gəl - sin ba - rı bül - bül, ba - rı bül - bül
 ba - rı bül - bül, *Da Capo al Fine*

I

Vətən bağı al-əlvandır,
 Yol üstündə sarı bülbül.
 Ömür sürməli dövrandır,
 Səsin gəlsin barı, bülbül.

II

Geyib yaşıl donun çöllər,
 Həvəsinlə açır güllər.
 Töküb şirin-şirin dillər,
 Gəl oyadaq yarı, bülbül.

აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა «Saribülbül» („კანარის ჩიტი“), ტაქტის ზომა 3/4, ჟღერს ნელი ტემპით, მულამ „სეგიახის“ ინტონაციების საფუძველზე. შესრულებისას ყურადღება უნდა მიექცეს ფორმლაგისა და მორდენტის ნიშნებს მელოდიაში.

კითხვები:

1. რომელი სიტყვებისაგან შედგება სიტყვა „სეგიახი“?
2. რომელი ნაწილებისაგან შედგება „სეგიახი“?
3. რომელი მულამის ინტონაციებია გამოყენებული აზერბაიჯანულ ხალხურ სიმღერაში «Saribülbül» („კანარის ჩიტი“)?

დავალება: დახატე სიმღერის «Saribülbül» („კანარის ჩიტი“) შინაარსის შესატყვისი ნახატი.

12. აზერბაიჯანელთა მიმართ მსოფლიოს სოლიდარობის დღე და მუსიკა



ყოველწლიურად, 31 დეკემბერს, მსოფლიოს 70 ქვეყანაში მცხოვრები 50 მილიონზე მეტი აზერბაიჯანელი ზეიმობს აზერბაიჯანელი ხალხის მიმართ სოლიდარობის დღეს. ჩვენი თანამემამულეებისათვის, რომლებიც ჩვენი ქვეყნის გარეთ – სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობენ, დამოუკიდებელი აზერბაიჯანის რესპუბლიკა ყოველთვის წარმოადგენდა ეროვნულ სიამაყეს, მორალურ ბურჯსა და სალოცავს. 31 დეკემბერს მთელი მსოფლიოს აზერბაიჯანელები დღესასწაულობენ ეროვნული სოლიდარობის დღეს, რითაც კიდევ ერთხელ ადასტურებენ ღრმა, უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას თავისი ხალხისა და სამშობლოსადმი – აზერბაიჯანისადმი.

შევასრულოთ სიმღერა

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი

მოვესმინოთ მუსიკას

**ექსპოზიცია უზეირ ჰაჯიბეილის ოპერა
„ქოროღლის“ „უვერტიურიდან“**

სახალხო გმირის, ქოროღლის სახეს, მის ბრძოლას ხალხის თავისუფლებისათვის, ამ უვერტიურაში მუსიკის საზეიმო ხასიათი შეესატყვისება, ხოლო ექსპოზიციის დამხმარე თემაში – ნიგარისადმი მიძღვნილი ქოროღლის არიის ინტონაციები. ეს მუსიკა ზემოქმედების ისეთ



ფრაგმენტი ოპერიდან „ქოროღლი“

ძალას ფლობს, რომ მისი გულგრილი მოსმენა შეუძლებელია. „ქოროღლის“ უვერტურა ადამიანებში აღძრავს გამარჯვების რწმენას, საბრძოლო სულისკვეთებას, მტკიცე ერთიანობის სურვილს. „ქოროღლის“ უვერტურა, რომლის ზემოქმედების ძალის შედარება მხოლოდ დიდი არმიის ძალასთან შეიძლება, განსაკუთრებით ხშირად ჟღერდა დამოუკიდებლობისათვის ჩვენი ხალხის ბრძოლის დღეებში.

შევისწავლოთ ახალი სიმღერა

დაე, ვემსხვერპლო (QURBAN OLUM)

მუსიკა ასფარ ჯავანშიროვი
სიტყვები რასიმ ქერიმლი

I

Vətən, sənin torpağının
Qüdrətinə qurban olum.
Babəkinin, Koroğlunun,
Qeyrətinə qurban olum!

მისამღერი:
Dəfinə var dənizində,
Hər dağında, hər düzündə
Nəyin yoxdur yer üzündə?
Şöhrətinə qurban olum,
Tarix dolu, dünya dolu,
Şöhrətinə qurban olum!

II

Aşib-daşan sellərinin,
Nəğmə qoşan dillərinin,
Nur çeşməli çöllərinin,
Hikmətinə qurban olum!

მისამღერი:

III

Yaz arzulu, yaz diləkli,
Duz-çörəkli, düz çörəkli,
Mən deyərəm, dağ ürəkli,
Millətimə qurban olum!

მისამღერი:



ასფარ
ჯავანშიროვი

სიმღერა დაწერილია ტაქტის ზომით 4/4 და ჟღერს გამა ფა-მინორში. ეს ერთხმიანი სიმღერა ლირიული ხასიათისაა. სიმღერა იწყება სინკოპით (ე. ი. პაუზით ტაქტის დასაწყისში) მისამღერი სრულდება მაღალი ხმით. სიმღერის შესრულებისას ყურადღება მიაქციეთ რეპრიზებს (განმეორებებს).

კითხვები:

1. რა დღესასწაულს აღნიშნავს ჩვენი ხალხი 31 დეკემბერს?
2. ვინ არის ავტორები აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნისა?
3. როგორ წარმოსახავს პოეტი სამშობლოს სიმღერაში „დაე, ვემსხვერპლო“ («Qurban olum»)?

დავალება: მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია თემაზე „მსოფლიოს სოლიდარობის დღე აზერბაიჯანელი ხალხისადმი“.

განვლილი თემების განმეორება და
დიდი შემაჯამებელი შეფასება

ტესტები

1. რომელმა კომპოზიტორმა დაწერა ბალეტი „მეხის ბილიკით“?

ა) ფ. ამიროვმა ბ) ყ. ყარაევმა გ) ა. მელიკოვმა

2. რომელი ხალხის წარმომადგენელია სერგეი რახმანინოვი?

ა) აზერბაიჯანელი ხალხის ბ) რუსი ხალხის გ) ქართველი ხალხის

3. ვის ეკუთვნის სიტყვები რომანსისა, „ნუ მღერი, ლამაზო“ («Oxuma, gözəl»)?

ა) ს. ვურლუნს ბ) ს. რუსტამს გ) ა. პუშკინს

4. ვინ არის მუსიკის ავტორი სიმფონია-რეჟიემისა „ჩინგიზი“?

ა) ყ. ყარაევი ბ) რ. მუსტაფაევი გ) ო. რაჯაბოვი

5. რომელ მულამზეა დაფუძნებული აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა «Saribülkül» („კანარის ჩიტი“)?

ა) შური ბ) ჩახარგიახი გ) სეგიახი

6. ვინ არის ავტორი ოპერისა „სევილი“?

ა) ჯ. გაჯიევი ბ) ფ. ამიროვი გ) ჯ. ჯაჰანგიროვი

7. ვინ დაწერა ოპერა „ქოროლი“?

ა) მ. მაგომაევი ბ) ა. ზეინალიმ გ) უ. ჰაჯიბეილიმ


რაში გამოიხატება
მუსიკის ზემოქმედების
ძალა?



13. მუსიკის ობიექტური რეალობა

მოვლსმინოთ მუსიკას

„ქოროლლის არია“ ოპერა „ქოროლლის“ 11 მოქმედებიდან
„ფინალური გუნდი“ ოპერა „ქოროლლის“ 11 მოქმედებიდან



„ქოროლლის არია“



ფინალური გუნდი

ვიმღეროთ ნოტების მიხედვით

ოპერა „ქოროლლის“ II მოქმედება.
ნაწყვეტი „ქოროლლის არიიდან“



ამ ნიმუშებიდან პირველი, ანუ „ქოროლლის არია“, სვედიანი ხასიათისაა, ხოლო „ფინალური გუნდი“, პირიქით, საზეიმოდ, საბრძოლო სულისკვეთებით ჟღერს. თუ მათ სიტყვებს ადგილს შევუცვლით, ორივე ნაწარმოები ცუდად იჟღერებს. სიტყვები არ იქნება მუსიკის შესატყვისი. ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც კომპოზიტორი ამა თუ იმ ტექსტზე მუსიკას თხზავს, ის ქმნის მ ე ლ ო დ ი უ რ ს ა ხ ე ს , რომელიც შესატყვისია ტექსტის ხასიათთან, მის სალექსო რიტმულ ზომასთან. ესე იგი, ტექსტის მეტრული ზომა, მისი ხასიათი, შესაქმნელი სახე უნდა შეესაბამებოდეს მუსიკის მეტრულ ზომას, ხასიათსა და გამოსახატავ სახეს ან სახეებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუსიკის რეალობა არ იქნება ტექსტის რეალობის შესატყვისი, და ამგვარად, არ იქნება მართალი, ჭეშმარიტი ხელოვნება და, ამდენად, ის არ შეიძლება იყოს მშვენიერი. ესე იგი, კომპოზიტორმა ტექსტზე მუსიკის შექმნისას სწორად უნდა გამოიყენოს ამ ტექსტის ხასიათი, მისი მეტრული ზომა, სახეები. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას ჭეშმარიტი მუსიკალური ნაწარმოები.

როგორც ვხედავთ, მელოდიის აუქჩარებელი ტემპი, რომელიც შედგება მეოთხედი და მთელი ნოტებისაგან, მას აძლევს რამდენადმე ნაღვლიან ხასიათს.

ქოროლლი მამაცი, გაბედული გმირია, რომელიც ყოველთვის ამარცხებს მტერს. ამასთან ისიც, როგორც ყოველი ადამიანი, ზოგჯერ თავისი გრძნობების ტყვეობაში აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში იგი საყვარელ ცოლთან, ნიგართან განშორებამ დაანაღვლიანა, – ამიტომაცაა მისი არია ნაღვლიანი და სევდიანი. ამ ოპერაში კომპოზიტორმა საგუნდო და საცეკვაო სცენები, საბრძოლო მუსიკა ჯანგის სულისკვეთების შესაბამისად შექმნა.

შევისწავლოთ ახალი სიმღერა

უღრუბლო ცის ქვეშ (TƏMİZ SƏMA ALTINDA)

I

Biz hər səhər günəşlə
Qoşa duraq, uşaqlar.
Təmiz səma altında
Yaşa dolaq, uşaqlar.

მუსიკა ოქტაი რაჯაბოვისა
სიტყვები ჰამიდ აბასისა.

მისამღერი:

Çıxaq doğma ellərə, ellərə
Çəmənlərə, çöllərə, çöllərə.
Mahni qoşacaq dillərə, dillərə
Gülək, çalaq, uşaqlar, uşaqlar.


II

Sevək işi, zəhməti
Bilik adlı sərvəti.
Biz vüqarı, qüdrəti
Eldən alaq, uşaqlar.

III

Hər birimiz tər çiçək
Həm ətirli, həm qəşəng.
Əbədi bir nəğmətək
Təzə qalaq, uşaqlar.

მისამღერი:



სიმღერა „უღრუბლო ცის ქვეშ“ («Təmiz səma altında») ცოცხალი, მხიარული ხასიათისაა. ამ სიმღერის კუპლეტები ერთხმიანია, ხოლო მისამღერი – ორხმიანი. სიმღერა სრულდება ტონალობა ფა-მინორში. გამა ფა-მინორს აქვს 4 ბემოლი: სი-ბემოლი, მი-მეზოლი, ლა-მეზოლი, რე-მეზოლი.

კითხვები:

1. როგორი კავშირია ტექსტსა და მუსიკის მელოდიას შორის?
2. რა მსგავსება და განსხვავებაა თქვენ მიერ მოსმენილ ოპერა „ქოროლის“ ორ მუსიკალურ ნიმუშს შორის?
3. ვინ არიან ავტორები სიმღერისა „უღრუბლო ცის ქვეშ“ («Təmiz səma altında»)?

დავალება: მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია აზერბაიჯანულ ისტორიულ გმირებზე.


14. იუმორესკა მუსიკაში



სიმებიანი ორკესტრი



ვიოლინო



ალტი



ვიოლონჩელო



კონტრაბასი



ფლეიტა

გენიალური გერმანელი კომპოზიტორის იოჰან სებასტიან ბახის ნაწარმოებები, ადამიანებზე მათი ზემოქმედების ძალის გათვალისწინებით, შეფასებულია, როგორც „ყველაზე მომხიბლავი მუსიკალური ნაწარმოებები“. რაში მდგომარეობს მათი მომხიბვლელობა? პირველ რიგში, ესაა მისი ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელ მეტყველი და ადვილად დასამახსოვრებელი ინტონაციები. ი. ს. ბახის მუსიკის ერთ-ერთ მთავარ თავისებურებას წარმოადგენს მისი პოლიფონიურობა, ანუ მრავალხმიანობა. ი. ს. ბახის ნაწარმოებებში ასახულია ზენა, ამალღებული გრძნობები, რომელიც დადებით ზეგავლენას ახდენს ადამიანებზე. ერთ-ერთ ასეთ ნაწარმოებს წარმოადგენს მისი „იუმორესკა“ „სუიტებიდან № 2“. კომპოზიტორმა ეს ნაწარმოები სიმებიანი ორკესტრისა და ფლეიტისათვის დაწერა.

მოვუსმინოთ მუსიკას

„იუმორესკა“ ი. ს. ბახის „სუიტებიდან № 2“

აზერბაიჯანელმა კომპოზიტორებმა აშრაფ აბასოვმა, ზაქირ ბაგიროვმა, მუსა მირზოევი და სხვებმა შექმნეს მრავალი საფორტეპიანო პიესა – „იუმორესკა“.

ეს უნდა იცოდეთ

სიმებიანი ორკესტრის შემადგენლობაში მონაწილეობენ შემდეგი ევროპული მუსიკალური ინსტრუმენტები: 1 ვიოლინო, 11 ვიოლინო, ალტი, ვიოლონჩელო და კონტრაბასი.

ვიმღეოთ ნოტების მიხედვით

მელოდია მუსა მირზოევის საფორტეპიანო პიესიდან „იუმორესკა“



ზემოხსენებული აზერბაიჯანელი კომპოზიტორების „იუმორესკები“ არა პოლიფონიური, როგორც ეს ი. ს. ბახთან გვაქვს, არამედ ჰომოფონიური ნაწარმოებებია.

შევისწავლოთ ახალი სიმღერა

არ გაგიშვებ! (OXUTMURAM, ƏL ÇƏKİN!)
(იუმორისტული სიმღერა)

მუსიკა ზაქირ ბაგიროვისა
სიტყვები მირზა ალექზერ საბირისა



აზიმ აზიმზადე

Oğul mənimdir əgər, oxutmuram, əl çəkin!
Eyləməyin dəngəsər, oxutmuram, əl çəkin!
Bəs ki, uşaqdır hələ, yaxşı-yaman sanmayı, r
Elmin əbəs olduğunu anlamayı, qanmayı, r
Sair uşaqlar kimi hər sözə aldanmayı. r
Eyləyir ömrün hədə, oxutmuram, əl çəkin!
Eyləməyin dəngəsər, oxutmuram, əl çəkin!



აზიმ აზიმზადე
„არ გაგიშვებ!“

კითხვები:

1. ი. ს. ბახის რომელი სუიტიდანაა მისი ნაწარმოები „იუმორესკა“?
2. რომელ აზერბაიჯანელ კომპოზიტორებს აქვთ იუმორისტული ნაწარმოებები „იუმორესკის“ სახელით?
3. ვინ არიან ავტორები სიმღერისა „არ გაგიშვებ!“ («Oxutmuram, əl çəkin!»)?

დავალება: დახატე სიმღერის „არ გაგიშვებ!“ («Oxutmuram, əl çəkin!») შინაარსის შესატყვისი ნახატი.


15. 20 იანვარი და მუსიკა



1990 წლის 19-20 იანვრის დამით კბილებამდე შეიარაღებული საბჭოთა არმია, სომეხი წარმომავლობის სამხედროების მონაწილეობით, თავს დაესხა ბაქოს. ქალაქში ტანკებით შემოჭრილმა სამხედრო ნაწილებმა იმსხვერპლეს აზერბაიჯანის ასობით უდანაშაულო მოქალაქე, რომლებიც მშობლიური აზერბაიჯანის თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლველად იყვნენ აღმდგარნი.

უდანაშაულო მსხვერპლთა – შეხიდთა შორის იყვნენ მოსწავლეები, სტუდენტები, ხანშიშესული ადამიანები, ქალები. სამშობლოს ეს მამაცი შვილები, რომლებიც თავისი ხალხის თავისუფლებისათვის, ღირსებისა და პატიოსნებისათვის ბრძოლას შეეწირნენ, დასაფლავებულნი არიან ქალაქ ბაქოს სამთო პარკში. ამ წმინდა ადგილს ამის შემდეგ „შეხიდთა ხეივანი“ ეწოდა.

მოვუსმინოთ სახალხო პოეტის ბახტიარ ვაგაბზადეს ლექსს მულამ „ხუმაიუნის“ მელოდიის ფონზე, ქამანჩის თანხლებით.



ბახტიარ ვაგაბზადე

შეხიდები (ŞƏHİDLƏR)

Bir qəfil gülləyə qurban gedərkən

Gözünü sabaha dikdi şəhidlər.

Üçrəngli bayrağı öz qanlarıyla

Vətən göylərinə çəkdi şəhidlər.

Tarixi yaşadıb diləyimizdə

Bir yumruğa döndük o gecə biz də.

Yıxıb köləliyi ürəyimizdə

Cəsarət mülkünü tikdi şəhidlər.

Onlar susdurulan haqqı dindirər,

Qaraca torpağı qiymətləndirər.

Donan vicdanları qeyrətləndirər,

Axı, el qeyrəti çəkdi şəhidlər.



1990 წლის 19-20 იანვრის ღამე კაცობრიობის ისტორიაში ჩაიწერა, როგორც სისხლიანი დანაშაულის აქტი, რომელიც ჩაიდინა საბჭოთა სამხედროებმა აზერბაიჯანელი ხალხის წინააღმდეგ. ჩვენმა სახელმწიფომ 20 იანვარი გამოაცხადა საყოველთაო გლოვის დღედ. ამის შემდეგ 20 იანვარი უქმე დღედ გამოცხადდა. ამ დღეს აზერბაიჯანელი მოქალაქეები მიდიან 20 აპრილის მსხვერპლთა საფლავზე „შეხიდთა ხეივანში“. ამ დროს იქ სამგლოვიარო, ნაღვლიანი მუსიკა



კამილ ჯალილოვი

ჟღერს, რომელიც მოგვიწოდებს, არასოდეს დავივიწყოთ ეს საშინელი ტრაგედია. ერთ-ერთი ასეთი მუსიკალური ნიმუშია მულამი „ზემინხარე“, რომელსაც ასრულებს ჰობოსტი, სახალხო არტისტი კამილ ჯალილოვი. ეს მულამი ადამიანში ღრმა ნაღველსა და მწუხარებას აღძრავს.

მოგუსმინოთ მუსიკას

მუხლი „ზემინხარე“ მულამიდან „შური“

შევისწავლოთ ახალი სიმღერა

გფარავდეს ჩემი სახელი (SƏNİ ADIM QORUSUN)

(მხატვრული ფილმიდან
„თეთრცხენიანი მხედარი“)

მუსიკა ოქტაი რაჯაბოვისა
სიტყვები რამიზ როვმანისა

I

Ağlayanım tapılsa,
Nə var ölməkdən gözəl?!
Nə var şəhid qanına,
Batan köynəkdən gözəl?!

მისამღერი:

Gəl ağlama sən belə
Göz yaşların qurusun.
Mən öldüm, innən belə,
Səni dərdim qurusun.

II

Başın üstə quş kimi,
Ruhum uçub dolanar.
Bir də sevib-sevilsən,
Adımı ver balana.

მისამღერი:

Gəl ağlama sən belə
Göz yaşların qurusun.
Mən öldüm, innən belə,
Səni dərdim qurusun.

კითხვები:

1. რა მოხდა 1990 წლის 20 იანვარს ბაქოში?
2. ვინ არის ავტორი ლექსისა „შეხიდები“?
3. ვინ არიან ავტორები სიმღერისა „გფარავდეს ჩემი სახელი“ («Səni adım qorusun»)?

დავალება: მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია „20 იანვრის“ თემაზე შექმნილი ნაწარმოებების შესახებ.

16. საღამოს განწყობილება მუსიკაში



ფრანც პეტერ შუბერტი

„სერენადა“ სასიყვარული სიმღერაა, რომელიც იტალიასა და ესპანეთში საღამოობით სრულდება. ჩვეულებრივ, ასეთ სიმღერებს გიტარაზე ასრულებენ. ამ ჟანრის ნაწარმოებები ბევრმა ევროპელმა კლასიკოსმა კომპოზიტორმა შექმნა, მათ შორის ავსტრიელმა კომპოზიტორმა ფრანც შუბერტმა, რომელიც დაიბადა 1797 წელს. ძალიან მალე შუბერტის „სერენადა“ მთელ მსოფლიოში გახდა პოპულარული. მოგვიანებით ეს ნაწარმოები სრულდებოდა სხვადასხვა ინსტრუმენტის და ფორტეპიანოს თანხლებით. სახალხო არტისტი, ცნობილი მეთარე რამიზ ყულიევი ამ ნაწარმოებს ასრულებდა თარზე, ფორტეპიანოს თანხლებით.

ეს უნდა ვიცოდეთ

ფრანც შუბერტმა შექმნა 600 სიმღერა, 9 სიმფონია, უვერტიურა სიმფონიური ორკესტრისათვის, 22 სონატა ფორტეპიანოსათვის, 8 ექსპრომტი. ფ. შუბერტი გარდაიცვალა ტიფით 1828 წელს 31 წლის ასაკში.



რამიზ ყულიევი

მოვუსმინოთ მუსიკას და ვიმღეროთ ნოტების მიხედვით

ფრანც შუბერტი. „სერენადა“



ეს სიმღერა, რომელიც დაწერილია ტაქტის ზომით 3/4, სრულდება ნელი ტემპით. სიმღერას აქვს ლამაზი, ადვილად დასამახსოვრებელი ლირიული მელოდია. ჩვეულებრივ, მას ასრულებენ ტენორები მამაკაცის მაღალი ხმით. მელოდიაში არსებული კვარტული და კვინტური ინტერვალური ნახტომები კიდევ უფრო ამღიერებენ მის მომხიბვლელობას.

მთელმა რიგმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორებმა ასევე შექმნეს ცნობილი სიმღერები საღამოს განწყობილების თემაზე. ერთ-ერთი მათგანია „საღამოს სიმღერა“ («Axşam mahnisı»), რომელიც დაწერილია ფილმისათვის „შეხვედრა“ («Görüş») სახალხო არტისტის, ცნობილი კომპოზიტორის თოფიკ ყულიევის მიერ. ფილმში ამ სიმღერას ასრულებს სახალხო არტისტი შოვკეტ ალექბეროვა.



თოფიკ ყულიევი



შოგვეტ
ალუქბეროვა



ფრაგმენტი კინოფილმიდან
„შეხვედრა“

აზერბაიჯანის სახალხო არტისტმა შოგვეტ ალუქბეროვამ შეასრულა „სალამოს სიმღერა“ კინოფილმიდან „შეხვედრა“ გუნდისა და სიმფონიური ორკესტრის თანხლებით. ახლა კი ამ სიმღერას თარის შესრულებით მოვუსმინოთ.

მოვუსმინოთ სიმღერას

„სალამოს სიმღერა“ («Axşam mahnısı»)

შევისწავლოთ ახალი სიმღერა

სიმღერა მთვარეზე (AY NƏGMƏSİ)

მუსიკა ალაბაჯ რზაევასი
სიტყვები ჰიქმეთ ზიასი

I

მთვარე ისე დაგვნათის,
ლამე თითქოს არც არის,
კარგად ვხედავთ მთებს თუ ტყეს,
მთვარე ისეთ შუქსა გვფენს.

II

მუდამ ანათე, მთვარევ,
დღეებიც სულ გვითვალე,
მალე მთებსაც შევწვდებით,
შენთან ერთად ვეწვევით!


სიმღერა დაწერილია ვალსის ტემპში, ტაქტის ზომა 3/4. იგი ჟღერს გამა მი-ბემოლ მაჟორში, 1 ოქტავის ფარგლებში.

კითხვები:

1. რა არის სერენადა?
2. რა იცი ფ. შუბერტის შესახებ?
3. ვინ არიან ავტორები სიმღერისა „სიმღერა მთვარეზე“?

დავალება: გაიხსენე ფილმი „შეხვედრა“ და დააზუსტე, ფილმის რომელ ნაწილში ჟღერს „სალამოს სიმღერა“.

17. ბუნების ასახვა მუსიკაში



ნ. ა.
რიმსკი-კორსაკოვი

ბუნების თემას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა პოეტების, კომპოზიტორების, მხატვრების შემოქმედებაში. ბუნება – ესაა ჩვენს ირგვლივ არსებული მომხიბვლელი და მარად ცვალებადი სამყარო. ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეების ცხოვრების წესი, მატერიალური კეთილდღეობა პირდაპირაა დამოკიდებული ბუნებრივი რესურსების სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაზე. ბუნება ჩვენი საერთო სახლია. ამ სახლის დაცვა, მოფრთხილება და გამდიდრება თითოეული ჩვენგანის წმინდა მოვალეობაა.

ბუნების დაცვა საერთო-სახელმწიფოებრივი და საერთო-სახალხო საქმეა. დიდი რუსი კომპოზიტორის ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „თოვლია“ ბუნების თემაზეა დაწერილი. გამოჩენილმა კომპოზიტორმა ეს ოპერა ა. ნ. ოსტროვსკის ამავე სახელწოდების ზღაპრის საფუძველზე შექმნა.



ა. ნ. ოსტროვსკი



ფრაგმენტი ოპერიდან „თოვლია“

მოვესმინოთ მუსიკას

„თოვლიას არიეტა“ ჰ. ა. რიმსკი-კორსაკოვის ოპერიდან „თოვლია“

როგორც ცნობილია, „ნოვრუზის“ დღესასწაულის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტია ცეცხლზე გადახტომა. სწორედ მსგავსი სურათი აქვს აღწერილი რუს კომპოზიტორს ნ. ა. რიმსკი-კორსაკოს. მის ოპერაში „თოვლია“ ახალგაზრდები ტყეში ცეცხლს აჩაღებენ და მასზე ხტებიან. მაგრამ თოვლიას ეს არ შეუძლია, რადგან იგი თოვლისგანაა შექმნილი და თუ ცეცხლს გადაახტება, შეიძლება დადნეს. აი, ამიტომაც მისი არია ნაღველით განმსჭვალული.

აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა, სახალხო არტისტმა თოფიკ ბაკიხანოვმა ბუნების სილამაზეს მიუძღვნა სიმღერა „სილამაზის მხარე“ («Gözəlliklər məşkəni»). ვიმღეროთ ამ სიმღერის ნაწყვეტი ნოტების მიხედვით, ხოლო შემდეგ მოვუსმინოთ მას სახალხო არტისტის ზეინაბ ხანლაროვას – ამ სიმღერის პირველი შემსრულებლის – შესრულებით.

ვიმღეროთ ნოტების მიხედვით და მოვუსმინოთ მუსიკას

„სილამაზის მხარე“ («GÖZƏLLİKLƏR MƏŞKƏNİ»)

ზომიერად

Ye-rin gö - zel - li-yi ü-zə çı- xıb - dır, Cey-ran- lar
ye- nə də dü-zə çı- xıb - dır, dü zə çı- xıb - dır.

შევისწავლოთ ახალი სიმღერა


სიმღერა ბუნებაზე (TƏBİƏT MAHNISI)

მუსიკა მუსა მირზოევისა
სიტყვები გერა ფაზლისა

I
Dostlar, salamlayaq açan gündüzü,
Doğma yurdumuzun çıxacaq seyrinə.
Birgə qulaq asaq səhər dan üzü,
Çayın nəğməsinə, çölün seyrinə.

II
Uzaqda zirvələr verib baş-başa,
Hər bulud örpəyi ağ kələğayıdır.
Bu Vətən baharla yaranıb qoşa,
Anası Günəşdir, atası Aydır.

III
Biz bilsək qədrini doğma diyarın,
O da ildən-ilə laləzar olar.
Ana təbiətlə dost olanların,
Könlündə həmişə ilk bahar olar.



დავუდ ქაზიმოვი. „გეიგელი“

კითხვები:

1. რა ჰქვია ნ. ა. რომსკი-კორსაკოვის ოპერას ბუნების თემაზე?
2. ვინ იყო პირველი შემსრულებელი სიმღერისა „სილამაზის მხარე“ («Gözəlliklər məşkəni»)?
3. ვინ ან არიან ავტორები სიმღერისა „სიმღერა ბუნებაზე“?

დავალება: დახატე სურათი თემაზე „სიმღერა ბუნებაზე“.

18. რეალური და არარეალური სახეები მუსიკაში



მიხეილ გლინკა



ფრაგმენტები ვილმ-ოპერიდან „რუსლანი და ლუდმილა“



გენიალური რუსი კომპოზიტორი მ. ი. გლინკა რუსული ეროვნული ოპერის ფუძემდებელია. იგი ავტორია ოპერებისა „ივან სუსანინი“, „რუსლანი და ლუდმილა“, სიმფონიური ორკესტრისათვის შექმნილი ნაწარმოებებისა „კამარინსკაია“, „ვალსი-ფანტაზია“, „არაგონული ხოტა“, აგრეთვე სხვა მრავალი სიმღერისა და რომანსისა. მას რუსული მუსიკის მამას უწოდებენ. ცნობილი რუსი კომპოზიტორები ა. პ. ბოროდინი, მ. პ. მუსორგსკი, ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვი მას თავიანთ მასწავლებლად თვლიდნენ. მ. გლინკამ თავისი ოპერა „რუსლანი და ლუდმილა“ დაწერა გენიალური რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის ამავე სახელწოდების პოემის მიხედვით. რეალური პერსონაჟების გვერდით ოპერაში მოქმედებენ არარეალური მისტიკური პერსონაჟები. თუ ნაწარმოების მთავარი გმირი რეალური სახეა, რაინდის თავი, ჩერნომორი არარეალური სახეებია.

ნაწარმოების მოკლე შინაარსი ასეთია: კიევის მთავარი სვეტოზარი თავის ქალიშვილს ლუდმილას ათხოვებს მამაც რაინდ რუსლანზე. უეცრად ცაში ატყდება ჭექ-ქუხილი, ელვა, ირგვლივ ყველაფერს წყვდიადი შთანთქმავს. მცირე ხნის შემდეგ სცენა კვლავ ნათდება, მაგრამ ლუდმილა აღარ ჩანს. იგი მოიტაცა და თავისთან წაიყვანა ჯადოქარმა ჩერნომორმა. გრძელწვერა ჯუჯა ჩერნომორს მისი გულის მოგება სურს. იგი ძვირფასი ტანსაცმლით შეიმოსება და თავის მსახურებთან ერთად გაემართება ლუდმილასთან. ამ სცენას კომპოზიტორი გასაოცარი მუსიკით გადმოსცემს.

